იუჯინ ულრიხი

ნოტრდამის უნივერიტეტი, აშშ

ეროვნული ლიტერატურიდან ბიბლიამდე და ამის შემდეგ

სიმპოზიუმის ძირითადი მიზანი ისეთ საკითხებზე მსჯელობაა, როგორებიცაა ბიბლიურ ტექსტთა ჩამოყალიბება და მათი ცვლილების გამომწვევი მიზეზები. ამიტომ აღნიშნულ მოხსენებაში ტექსტთა ფართო სპექტრს განვიხილავთ, რომელიც ებრაული ლიტერატურის განვითარების სამ ეტაპს მოიცავს. მხოლოდ ამგვარად შევძლებთ მათი მახასიათებლების გამოყოფას. ძველმა ისრაელმა ეტაპობრივად შექმნა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების მატარებელი მდიდარი ანთოლოგია. მათგან ზოგიერთი საყოველთაოდ მიღებული და ავტორიტეტული წმინდა წერილი გახდა (თუმცა ეს ტექსტები კვლავ განაგრძობდა განვითარებას). თანდათანობით შეიქმნა ახალი თხზულებები, რომლებიც ეფუძნებოდა ამ ბიბლიურ ტექსტებს, თუმცა ვტორები (და სავარაუდოდ, საზოგადოებაც, თავდაპირველად მაინც) მათ აღიქვამდნენ როგორც ახალ არაბიბლიურ ნაწარმოებებს. ამგვარი თხზულებები შესაძლებელია კვალიფიცირებულ იქნას როგორც წმინდა წერილზე დაფუძნებული რელიგიური ლიტერატურა. ჩვენი მოხსენების მიზანია, ერთმანეთისაგან გამოვყოთ ტექსტების განვითარების ეს სამი საფეხური, დავადგინოთ მათ შორის არსებული საზღვრები, განვსაზღვროთ კრიტერიუმები, რომლებიც მათი ერთმანეთისგან გარჩევაში დაგვეხმარებიან, და დავადგინოთ ურთიერთკავშირი „წინარე-წმინდა წერილსა“ და „გადამუშავებულ წმინდა წერილს“ შორის.